ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

თამთა მიქაბერიძე

საქართველოს საგარეო ვაჭრობა და მისი განვითარების პერსპექტივები WTO-ს შეთანხმების საზღვრებში

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2016

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ირინე გოგორიშვილი**
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულეტეტი

ოფიციალური შემფასებლები: **მიხეილ თოქმაზიშვილი**
ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულეტეტი

დალი სეხნიაშვილი
ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება: 2017 წლის 12 იანვარს, 15:00 საათზე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

მისამართი: 0186, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 2; თსუ X კორპუსი, აუდიტორია 206

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი მ. ლობჟანიძე

ავტორეფერატის სტრუქტურა

საკვლევი თემის აქტუალობა 4

კვლევის მიზანი და ამოცანები 5

კვლევის საგანი და ობიექტი 7

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი 7

კვლევის სამეცნიერო სიახლე 8

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა 11

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია 12

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა 12

ნაშრომის შინაარსი 15

დასკვნები და რეკომენდაციები 21

გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები 24

საკვლევი თემის აქტუალობა

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მეტი ქვეყანა აფართოვებს თავისი მონაწილეობის მასშტაბებს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში საგარეო ვაჭრობის გზით. ამაზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ახასიათებს ქვეყნების ექსპორტისა და იმპორტის ხვედრითი წილის ცვლილებას მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებით. ეს მონაცემები ცხადყოფს, ასევე თუ რამდენად ლიბერალური და ღიაა ამ ქვეყნების საგარეო სავაჭრო პოლიტიკა და რა როლს ასრულებს საგარეო ვაჭრობა თითოეული მათგანის ეკონომიკური განვითარების პროცესში. აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია, დეტალურად განვიხილოთ საქართველოს მონაწილეობა ინტეგრაციულ პროცესებში, გავაანალიზოთ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) ხელშეკრულებების საზღვრებში აღებულ ვალდებულებათა შესრულების პროცესი და სარგებლის მიღება, ასევე, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საერთაშორისო ვაჭრობის ახალი თეორიების განხილვის ფონზე.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარება გლობალიზაციის პირობებში ინტეგრაციული პროცესების განსაკუთრებული გააქტიურებით ხასიათდება. განვითარებად ქვეყნებს კი, თავიანთი ეკონომიკების გადარჩენის მიზნით, საერთაშორისო ვაჭრობის განსაკუთრებული ხელშეწყობა და განვითარება მართებთ. აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის წინაშე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებული საგარეო ეკონომიკური გზების წარმატებული ძიება და საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარებაში სტრუქტურული ძვრებისა და გრძელვადიანი ტენდენციების გამოვლენა.

2008 წლის სექტემბერში დაწყებულმა მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ობიექტურად გააძლიერა ყველა ქვეყნის დაინტერესება ექსპორტის გაფართოებით, გარე სამყაროსთან ვაჭრობის ხელსაყრელი პირობების მიღებით. სწორედ, რომ საგარეო ვაჭრობის სფეროშია მობილიზებული მნიშვნელოვანი ანტიკრიზისული პოტენციალი მისი გონივრულად გამოყენების შემთხვევაში. ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის

ეფექტიანობის ზრდის რეზერვების გამოსავლენად, საჭიროა მისი ანალიზის მიმართ განსხვავებული მიდგომა. ზემოაღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გლობალური ფინანსური კრიზისის და ტრადიციული საწვავისა და ნედლეულის (რაც ქვეყნის უმთავრეს საიმპორტო საქონელს წარმოადგენს) ფასების ზრდით გამოწვეული ქვეყნის შემოსავლების მკვეთრი შემცირების პირობებში.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ, საქართველოს ორიენტაცია აღებული აქვს ლიბერალურ სავაჭრო პოლიტიკაზე. აქედან გამომდინარე, მისი საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში წარმატებული ინტეგრაცია და, ამის შედეგად, სასურველი ეკონომიკური შედეგების მიღწევა.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესს საერთაშორისო ვაჭრობისა და მასში მონაწილე სუბიექტების ძირეული ცვლილებები და განვითარების ახალი ტენდენციების აღმოცენება მოჰყვება. აქედან გამომდინარე, მეტად აქტუალურია ვაჭრობის ახალი თეორიებისა და ტექნოლოგიების კვლევა და ანალიზი, განსაკუთრებით მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისთვის, როგორიცაა საქართველო, ქვეყანაში მიმდინარე თანამედროვე ეკონომიკური პროცესების ფონზე.

ნაშრომის აქტუალობას ზრდის ქვეყნის საექსპორტო საქონლის სტრუქტურისა და დანიშნულების ბაზრების დივერსიფიკაციის ანალიზისა და კვლევის საკითხები.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების შედეგად საერთაშორისო სავაჭრო ნაკადების ცვლილების ზეგავლენის გაანალიზება ქვეყნის განვითარების პროცესებზე.

მოცემული მიზნის რეალიზებასთან დაკავშირებით დასახული გვაქვს შევასრულოთ შემდეგი ამოცანები:

1. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ახალი და უახლესი თეორიების მიმოხილვა და შეფასებითი ანალიზი, რათა მოვახდინოთ იმ თეორიული

საფუძვლების გამოკვეთა, რომელიც საგარეო სავაჭრო ნაკადების ცვლილების გაანალიზების შესაძლებლობას მოგვცემს;

2. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის საზღვრებში მოქმედი სავაჭრო რეჟიმებისა და შესაძლებობათა გამოვლენა და შედარებითი ანალიზი;

3. რეგიონულ ეკონომიკურ ორგანიზაციებში საქართველოს მონაწილეობის რეალური შედეგების გაანალიზება და შეფასება;

4. WTO-ს საზღვრებში რატიფიცირებული ხელშეკრულებების განხორციელების შედეგად საქართველოს ევროკავშირში ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის ინსტრუმენტთა გამოკვლევა. გავაანალიზეთ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ), დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციასა (სუამი) და შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობასთან (BSEC), ასევე გარდამავალ პერიოდში საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მოთხოვნათა რეალიზების სავარაუდო შედეგები. ჩამოვაყალიბეთ მოსაზრებები ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებულ შესაძლებლობათა გამოყენების მდგომარეობასთან დაკავშირებით;

5. WTO-ს ხელშეკრულებათა საფუძველზე სავაჭრო პროცედურების გამარტივების პოლიტიკის დახასიათება და მისი შედეგების ანალიზი საქართველოში;

6. საქართველოს საგარეო-ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ტენდენციების გამოვლენა შიგადარგობრივი ვაჭრობის ანალიზის საფუძველზე. ჩვენ მიერ გააანალიზებულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის ტენდენციები 2000-2015 წლებში, საექსპორტო და საიმპორტო ნაკადების წილი საქართველოს მშპ-ში და მათზე ლიბერალური სავაჭრო რეჟიმის ზემოქმედების შედეგები;

7. საქართველოს სავაჭრო სტრუქტურის სრულყოფის (დივერსიფიკაცია) ძირითად მიმართულებათა გამოკვლევა ინდექსური მეთოდის გამოყენებით. საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურის გამოკვლევისათვის გამოყენებულია შიგადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის – გრუბელ-ლლოიდისა (GL) და ექსპორტის მსგავსების – ფინგერ-კრეინინის (FK) ინდექსები. მათი გამოყენების

საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები პარტნიორ ქვეყნებთან შიგადარგობრივ ვაჭრობასა და ექსპორტის სტრუქტურის მსგავსებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც მოცემულია გარკვეული მიმართულებებით სავაჭრო ნაკადების გაფართოვების რეალური შესაძლებლობები.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს საგარეო ვაჭრობის გრძელვადიანი ცვლილებები და შედეგები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების საფუძველზე. კვლევის ობიექტია საქართველოს საგარეო ვაჭრობა.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი

კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ქართველი და უცხოელი ეკონომისტების ნაშრომების გაანალიზების საფუძველზე საერთაშორისო ვაჭრობის ახალი და უახლესი თეორიების სავაჭრო ნაკადების ფორმირებისა და შიგადარგობრივი ვაჭრობის გამოკვლევა. ჩვენ მიერ განხილულია საგარეო ვაჭრობისა და გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საკითხებზე მომუშავე მეცნიერთა ნაშრომები. მათ შორის აღსანიშნავია: აბრალავა ა., ანანიაშვილი ი., ბერუჩაშვილი თ., გოგორიშვილი ი., გველესიანი რ., თოქმაზიშვილი მ., კოღუაშვილი პ., ლეკაშვილი ე., მექვაბიშვილი ე., მესხია ი., პაპაჩაშვილი ნ., პაპავა ვ., სეფაშვილი ე., სილაგაძე ა., სიხარულიძე დ., ფუტკარაძე რ., ყორღანაშვილი ლ.,შაბურიშვილი შ., შენგელია თ., ჩიკვაიძე თ., ჯამაგიძე ლ., ჯიბუტი მ., ჯოლია გ. და სხვები, რომლებიც იკვლევენ საერთაშორისო ეკონომიკის საკითხებს.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა ეყრდნობა საგარეო ვაჭრობის, სატარიფო და არასატარიფო ბარიერების სტატისტიკის შესახებ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წლიურ ანგარიშებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებსა და რეკომენდაციებს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პერიოდულ მონაცემებს, პერიოდულ გამოცემათა მასალებს, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო

ფონდის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მრავალ სხვა ორგანიზაციაში მოპოვებული ფაქტობრივი მასალის ანალიზს.

სამეცნიერო კვლევა ეფუძნება ანალიზისა და სინთეზის, აბსტრაქციის, ინდუქცია-დედუქციისა და დიალექტიკის ზოგად მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. მასში გამოყენებულია ეკონომიკური ანალიზისა და სტატისტიკური მეთოდები, კერძოდ: დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფების, სტატისტიკური ინფორმაციის გრაფიკული გამოსახვის, ინდექსური ანალიზისა და დინამიკური მწკრივების მეთოდები.

კვლევის სამეცნიერო სიახლე

კვლევის შედეგად წარმოდგენილი გვაქვს შემდეგი მეცნიერული სიახლეები:

1. კვლევის შედეგად მოვახდინეთ ნეოტექნოლოგიური და განსაკუთრებით შიგადარგობრივი ვაჭრობის თეორიებზე ფოკუსირება, რადგან სწორედ ამ თეორიების გააზრების საფუძველზე შემოთავაზებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ლიბერალიზაციის პოლიტიკის გაღრმავების ტენდენცია, მაგრამ ამავე დროს პარალელურად მიმდინარეობს ნეოპროტექციონისტური ტენდენციების მხარდაჭერა WTO-ს წევრი სახელმწიფოების მხრიდან. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციის გაღრმავებასთან დაკავშირებით 1980-იანი წლებიდან თანდათანობით ფართოვდება საკომპენსაციო ვაჭრობა და შემხვედრი სავაჭრო კონტრაქტები, განსაკუთრებით დიდ ღია ეკონომიკებს შორის. თუმცა, მცირე ღია ეკონომიკებში (მათ შორის საქრთველოში) ამ კონტრაქტების საფუძველზე მიმდინარე სავაჭრო ნაკადების შესახებ ინფორმაცია თითქმის არ არსებობს, რაც ამ ნაკადების სტატისტიკის აღრიცხვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მიუთითებს. ჩვენ მიერ ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები, საქართველოში ამ ტიპის კონტრაქტების აღრიცხვიანობასა და მისი ხელშეწყობის აუცილებლობასთან დაკავშირებით. (დისერტაციის გვ. 38-52; 55-61; პუბლიკაცია ჟურნალში „ეკონომიკა და ბიზნესი";

მოხსენება და პუბლიკაცია – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, (ბუქარესტი, რუმინეთი));

2. WTO-ს საზღვრებში არსებული სავაჭრო რეჟიმების გაანალიზების საფუძველზე გამოკვეთილია საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის გატარების შედეგად მიღებული ვაჭრობის ხელშემწყობი რეგულაციები და მათი დადებითი ეფექტები, რომელთა საფუძველზეც მივიღეთ წინაპირობები DCFTA-ს შეთანხმების დასადებად (დისერტაციის გვ. 91-93; მოხსენება და პუბლიკაცია - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები (ბუქარესტი, რუმინეთი));

3. რეგიონულ ორგანიზაციებთან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების გაანალიზების საფუძველზე დადგენილია, რომ დსთ-სა (სავაჭრო სისტემა) და სუამში საქართველოს მონაწილეობა დადებითი შედეგებით ხასიათდება და მიუხედავად რუსეთთან არსებული პრობლემებისა გვაქვს უსაფრთხო სავაჭრო ნაკადების გაფართოების შესაძლებლობა. სუამ-თან დაკავშირებით სავაჭრო ნაკადების გაფართოების რეალური შესაძლებლობების გამოყენებამ მოგვცა მოლდოვეთთან, აზერბაიჯანთან, უკრაინასთან ვაჭრობის სასურველი ტენდენციების (სტრუქტურის) ჩამოყალიბება, რომელიც გარე ეკონომიკური უსაფრთხოების მიღების აუცილებელი პირობაა (დისერტაციის გვ.106-109; 111-113; 173-178; 181-185);

4. გააანალიზებულია ლიბერალური სავაჭრო რეჟიმის ზემოქმედების შედეგები საქართველოს მშპ-ში საექსპორტო და საიმპორტო ნაკადების წილზე, რის საფუძველზეც დადგენილია, რომ ექსპორტისა და იმპორტის მოცულობები განუხრელად იზრდებოდა რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგოსა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების ჩაუთვლელად. ამავე დროს, 2012 წლამდე არ მიმდინარეობდა სავაჭრო სტრუქტურების დივერსიფიცირება და სასაქონლო სავაჭრო ნაკადების ზრდასთან უპირატესი ტემპებით იზრდებოდა მომსახურებით საგარეო ვაჭრობა (მომსახურების ექსპორტი აჭარბებს მომსახურების იმპორტს), რითაც აიხსნება თანაფარდობის უცვლელობა – ექსპორტის წილის შედარებითი მდგრადობა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით. მიმდინარეობს იმპორტის წილის მზარდი ცვლილება, რადგან ზოგადად სავაჭრო ნაკადების ბრუნვა მშპ-სთან მიმართებით

იზრდება. აგრეთვე ხორციელდება მომსახურებით ვაჭრობის განუხრელი ზრდა (ექსპორტი ყოველწლიურად ფარავს იმპორტს). ამ მონაცემების საფუძველზე ჩვენ მიერ ჩამოყალიბებულია დასკვნები: უპირველეს ყოვლისა, უნდა ხორციელდებოდეს ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურათა მაქსიმალური დივერსიფიცირება: კერძოდ, იმპორტთთან დაკავშირებით უნდა ხდებოდეს ენერგო რესურსების წყაროებთან დაკავშირებით დივერსიფიცირება; ექსპორტთან მიმართებით იგივე უნდა მიმდინარეობდეს (ექსპორტის სტრუქტურის დივერსიფიცირება), ხოლო რაც შეეხება საექსპორტო სპეციალიზაციის პროდუქტებს (თხილი, ღვინო, მინერალური წყლები), უნდა ხორციელდებოდეს სასაქონლო ბაზრის მაქსიმალური დივერსიფიცირება იმპორტიორი ქვეყნების მიხედვით (დისერტაციის გვ.151-161; პუბლიკაცია ჟურნალში „საქართველოს ეკონომიკა").

5. შიგადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის გრუბელ-ლლოიდის (GL) ინდექსის გაანგარიშების საფუძველზე საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ყველაზე მაღალი და ზრდის ტენდენციის ხასიათის მქონე შიგადარგობრივი ვაჭრობის ინდექსი გამოვლინდა ბელარუსთან, საუდის არაბეთთან, ლიტვასთან, მოლდოვასთან, პოლონეთთან, რომლებიც არ წარმოადგენენ საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს, მაგრამ, რომლებთანაც არსებობს საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეგმაზომიერი (არასპონტანური) ზრდის რეალური შესაძლებლობები. გამოკვლევამ დარგობრივი სტრუქტურის მიხედვით გვიჩვენა საგარეო ვაჭრობის კონკრეტული სექტორების გაფართოვების შესაძლებლობები. კერძოდ, რეგიონულ ინტეგრაციულ დაჯგუფებებში წევრობა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ამ შედეგების მიღებას (დისერტაციის გვ. 172-177; პუბლიკაცია ჟურნალში „საქართველოს ეკონომიკა").

6. ექსპორტის მსგავსების - ფინგერ-კრეინინის (FK) ინდექსის გაანგარიშების საფუძველზე დადგენილია, რომ ყველაზე მაღალი მნიშვნელობა გვაქვს ესპანეთთან, ლიტვასთან, პოლონეთთან, რუმინეთთან, ბელგიასთან, რაც იძლევა საშუალებას გავაკეთოთ დასკვნა: ევროკავშირის ქვეყნებთან FK ინდექსის საშუალო მაჩვენებელი მაღალი არ არის, თუმცა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ეს მიუთითებს

საქართველოს საექსპორტო ნაკადების უფრო ეფექტიანი მიწოდებისა და სავაჭრო ლიბერალიზაციის გაღრმავებაზე, რაც საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ საგარეო ვაჭრობის მაქსიმალურად მომგებიანი, დივერსიფიცირებული სტრუქტურა. უფრო კონკრეტულად, ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის გზაზე ჩვენ გვექმნება ექსპორტის მეტნაკლებად მსგავსი სტრუქტურის მქონე განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებთან კოოპერირების შესაძლებლობა, კერძოდ, მცირე და საშუალო მოცულობის ტნკ-თან (უფრო დიდ ტნკ-თან კავშირის დამყარების ნაკლები შესაძლებლობის გამო) (დისერტაციის გვ.178-185; პუბლიკაცია ჟურნალში „საქართველოს ეკონომიკა").

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

მოცემული ანალიზი საშუალებას გვაძლევს, ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვების განსაზღვრით და სისტემური მიდგომით, პრაქტიკაში განვახორციელოთ საგარეო ეკონომიკური ნაკადების ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები.

დისერტაციაში გაანალიზებული საგარეო ვაჭრობის ტენდენციები, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების შედეგები და გამოკვლეული ინდექსები საგარეო ეკონომიკის სფეროს პრაქტიკის მუშაკებსა და მეწარმეებს საშუალებას მისცემს:

- სავაჭრო ნაკადების გაფართოვების მიზნის შეასაბამისად გააანალიზონ საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის განვითარების დონე, სტრუქტურა და ძირითადი ტენდენციები;
- გამოავლინონ საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში მონაწილე ეფექტიანი და არაეფექტიანი სასაქონლო ჯგუფები, რის მიხედვითაც მოხდება ვაჭრობის ზრდა ან შემცირება;
- რაციონალურად განსაზღვრონ სასაქონლო ნაკადების ყველაზე მიზანშეწონილი გეოგრაფიული მიმართულებები და გასაღების ბაზრები.

ნაშრომში მოცემულია საქართველოს მსოფლიო ეკონომიკური კავშირების სისტემაში მზარდი ინტეგრაციისკენ მიმართული კონკრეტული წინადადებები, რაც სასარგებლო იქნება ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარება-გაუმჯობესებისა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში რაციონალური ცვლილებების განსახორციელებლად.

ინდექსების გაანგარიშების საფუძველზე განხორციელებული კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სამეცნიერო კვლევით საქმიანობასა და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო კურსებში.

კვლევის შედეგების აპრობაცია და პუბლიკაცია

სადისერტაციო ნაშრომი დამუშავებულია და მისი ცალკეული ნაწილები აპრობირებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრასა და საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრაზე. სადისერტაციო ნაშრომმა საბოლოო აპრობაცია გაიარა ეკონომიკური პოლიტიკის კათედრაზე, სადაც მოწონებულ და რეკომენდებულ იქნა საჯარო დაცვისათვის.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და სადისერტაციო ნაშრომის ცალკეული კომპონენტები წარდგენილია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე და გამოქვეყნდა სხვადასხვა პუბლიკაციებში, რეცენზირებად ჟურნალებში და საზღვარგარეთ გამოცემულ სამეცნიერო შრომებში, მათ შორის ტომსონ როიტერის ინდექსირებულ კრებულში (ISI - Thomson Reuters Proceedings).

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შესავლის, 4 თავის, 12 ქვეთავის და დასკვნებისა და რეკომენდაციებისგან, შესრულებულია 196 გვერდზე, თან ერთვის გამოყენებული

ლიტერატურის სია და დანართები გაანგარიშებითი ცხრილების სახით. ნაშრომის სტრუქტურა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

შესავალი

თავი 1. საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები

1.1. საერთაშორისო ვაჭრობის ახალი და უახლესი თეორიები;

1.2. საგარეო ვაჭრობის ახალი ტექნიკური ინსტრუმენტები;

თავი 2. საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელი ორგანიზაციისა და სავაჭრო რეჟიმების როლი განვითარების პროცესში

2.1 საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სავაჭრო სისტემაში;

2.2 განვითარებადი ქვეყნების სატარიფო პოლიტიკის თავისებურებები;

2.3 ნეოპროტექციონიზმი და ანტიდემპინგური პოლიტიკა;

თავი 3. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები რეგიონულ ორგანიზაციებთან

3.1 საქართველოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მოთხოვნათა რეალიზაციის შედეგები;

3.2 საქართველოს მონაწილეობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) სავაჭრო სისტემაში;

3.3 საქართველოს ურთიერთობები დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციასთან (სუამი);

3.4 საქართველოს მონაწილეობა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში (BSEC);

თავი 4. საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულებათა საზღვრებში

4.1 საქართველო მსოფლიო სავაჭრო სისტემაში;

4.2 საქართველოს საგარეო ვაჭრობის ტენდენციები;

4.3 პარტნიორ ქვეყნებთან საქართველოს შიგადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობისა და ექსპორტის მსგავსების საკითხების კვლევა გრუბელ-ლლოიდისა (GL) და ფინგერ-კრეინინის (FK) ინდექსებზე დაყრდნობით

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურის სია

დანართები

ნაშრომის შინაარსი

პირველ თავში მოცემულია საერთაშორისო ვაჭრობის ახალი და უახლესი თეორიების ანალიტიკური მიმოხილვა, მისი მნიშვნელობა და გავლენა საერთაშორისო ვაჭრობის ახალ ფორმებსა და ტენდენციებზე, ტექნიკურ ინსტრუმენტებსა და საშუალებებზე, ტრანსნაციონალიზაციისა და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის ფონზე. ჩვენ მიერ შესწავლილი და გაანალიზებულია საერთაშორისო ვაჭრობის ახალი და უახლესი თეორიები, რომლებიც იკვლევენ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში განვითარებადი ქვეყნების მონაწილეობას თანამედროვე ტრანსნაციონალიზაციისა და ინტეგრაციული პროცესების ფონზე.

ნაშრომში მოყვანილია განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის შიგადარგობრივი ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემები წლების მიხედვით, რომელიც კონიუნქტურის ცვლილებასთან მჭიდრო კორელაციას ასახავს, ანუ სახეზე გვაქვს შიგადარგობრივი ვაჭრობის განუხრელი ზრდის ტენდენცია, რომელიც გლობალური კრიზისების დროს უფრო ძლიერდება.

ამ თავში გაკეთებული გვაქვს დასკვნები იმის შესახებ, რომ ახალი და უახლესი თეორიები (მათ შორის შიგადარგობრივი ვაჭრობის თეორია) გვთავაზობენ საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურის, ვაჭრობის ტექნოლოგიებისა და ფორმების ცვლილებას, რათა მოხდეს განვითარებადი ქვეყნების პოტენციალის ათვისება. განხილულია საერთაშორის ვაჭრობის თანამედროვე ტექნოლოგიების მნიშვნელობა და როლი მცირე ღია ეკონომიკის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის.

ვაჭრობის ტექნოლოგიებში განვიხილავთ - საკომპენსაციო გარიგებებს, ბარტერს, როგორც ორმხრივი ურთიერთობის პალიატიურ (დასახული ამოცანის დროებითი, ნაწილობრივი გადაწყვეტის) მეთოდს. მსოფლიო ვაჭრობაში ფულის მონაწილეობის გარეშე გარიგებების უპირატესობა აიხსნება იმით, რომ საკომპენსაციო გარიგებებს შეუძლია მნიშვნელოვნად შეარბილოს გლობალური კრიზისებით გამოწვეული ისეთი ნეგატიური ეფექტები, როგორიცაა: საერთშორისო ვაჭრობის ზდის ტემპის შენელება და არასტაბილურობა; ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების ბაზრის მზარდი არამდგრადობა; სავალუტო კურსების რყევა; ნეოპროტექციონიზმის

ზრდა მსოფლიო ვაჭრობაში; მაღალი დავალიანება ზოგიერთ განვითარებულ, მრავალ განვითარებად, აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებში; საკომპენსაციო გარიგების სისტემა უზრუნველყოფს სანედლეულო საქონლით მომარაგების უსაფრთხოებასა და სტაბილურობას. იგი წარმოადგენს ურთიერთსასარგებლო ინსტრუმენტს, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნებისთვის.

კვლევაში ხაზგასმულია თუ რამდენად მნიშვნელოვანი და სასარგებლო იქნება საკომპენსაციო და ბარტერული ვაჭრობის ფორმების გამოყენება მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისთვის (მათ შორის საქართველოსთვის).

მეორე თავში განხილულია განვითარებადი ქვეყნების სატარიფო და არასატარიფო პოლიტიკა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულებების საზღვრებში. ერთი მხრივ, გააანალიზებულია სატარიფო განაკვეთების შემცირებისა და რიგი არასატარიფო ბარიერების გაუქმების გავლენა საერთაშორისო ვაჭრობის ზრდაზე, მეორე მხრივ – WTO-ს მიერ გათვალისწინებული ნეოპროტექციონიზმი, ანუ არასატარიფო ბარიერების გამოყენების საკითხები. განხილულია საქართველოს სატარიფო და არასატარიფო პოლიტიკა და მისი უპირატესობის საკითხები რეგიონულ ჭრილში.

განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, აქტუალურ საკითხებს შორისაა საერთაშორისო ვაჭრობის სატარიფო და არასატარიფო ზომების გავლენა საერთაშორისო ვაჭრობის ზრდასა თუ შემცირებაზე. რამდენად ხელს უწყობს, თუ უშლის კონკრეტული სატარიფო ზომა საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის კვლევამ ხელი უნდა შეუწყოს კომერციულ დიპლომატიაში რისკებისა და შესაძლებლობების აწონვას.

ნაშრომის ამ თავში დამუშავებულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სატარიფო და არასატარიფო ბარიერების სტატისტიკური მონაცემები და წარმოდგენილია მათი ანალიტიკური მიმოხილვა. რამდენად უზრუნველყოფდა ვაჭრობის ლიბერალიზებისკენ მიმართული ღონისძიებები WTO-ს ფარგლებში ნეოპროტექციონიზმის ანუ „ახალი პროტექციონიზმის" ზრდას? უწყობდა თუ არა ხელს რეალურად საერთაშორისო სავაჭრო ნაკადების გაფართოვებას? “ძველი”

პროტექციონიზმისგან ახლის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი სწორედ არასატარიფო შეზღუდვების გამოყენებაა. ისევე, როგორც განვითარებულ ქვეყნებში, პროტექციონისტული „ქოლგის“ ქვეშ იმყოფება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება განვითარებად ქვეყნებშიც.

ბოლო წლებში მუდმივად იზრდება ანტიდემპინგურ გამოძიებათა რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ დემპინგის გატარებაში შეიმჩნევა უმეტესად არა განვითარებული (წარსულისგან განსხვავებით), არამედ განვითარებადი ქვეყნებიც (რომლებიც მუდმივად აკრიტიკებენ განვითარებული ქვეყნების ანტიდემპინგურ პოლიტიკას, როგორც პროტექნიონიზმის ფორმას, რითაც ისინი დისკრიმინაციას უწევენ ექსპორტიორ განვითარებად ქვეყნებს). ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების საფუძველზე, ლიბერალური რეჟიმის პარალელურად, არსებობს შესაძლებლობა დავიცვათ ჩვენი ეკონომიკა დემპინგური ზეგავლენისგან. თუმცა, შესაბამისი კანონმდებლობის არ ქონისა და სხვა ფაქტორების გამო, ვერ ვახერხებდით WTO-ს შესაძლებლობების გამოყენებას. დღეს, DCFTA-ს მოთხოვნების საფუძველზე, კანონმდებლობის ცვლილებისა და მისი პრაქტიკაში დანერგვის შემდეგ, გვაქვს ბერკეტები მოვახდინოთ ანტიდემპინგური ღონისძიებების განხორციელება.

არასატარიფო პროტექციონიზმის განვითარების კიდევ ერთ ტენდენციად გვევლინება მისი გადატანა სავაჭრო-ეკონომიკურ დაჯგუფებათა დონეზე. მრავალრიცხოვან რეგიონულ ინტეგრაციათა ფარგლებში, აგრეთვე, ორმხრივ სავაჭრო შეთანხმებათა შიგნით არასატარიფო ბარიერებს ეფექტიანად იყენებენ მესამე ქვეყნების მიმართაც და წევრი ქვეყნების ურთიერთვაჭრობაშიც და ეს ხდება საბაჟო დაბეგვრის მნიშვნელოვანი ლიბერალიზების პირობებში. **მესამე თავში** განხილულია სწორედ საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელი ორგანიზაციების როლი განვითარების პროცესში. დეტალურადაა გაანალიზებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სავაჭრო სისტემაში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები და მათი გავლენა საერთაშორისო სავაჭრო ნაკადებზე. რეგიონული და მრავალმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში დეტალურადაა განხილული საქართველოს წევრობის მნიშვნელობა და როლი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგრობის (დსთ) სავაჭრო სისტემაში,

დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციაში (სუამი) და შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობაში (BSEC).

ნაშრომში გამოკვლეულია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის საზღვრებში რატიფიცირებული ხელშეკრულებების გამოყენების შედეგები ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის განხორციელებისათვის. კერძოდ, დადგენილია, რომ WTO-ს საზღვრებში აღებული ვალდებულებები, რომელიც საქართველოს მიერ არა მარტო გარდამავალ პერიოდში, არამედ შემდგომაც ვითარდებოდა, შექმნა საფუძველი და წინაპირობა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ზონის ხელშეკრულების რატიფიცირებისთვის. მიუხედავად აღნიშნული ვალდებულების მიმართ საქართველოს ეკონომიკური აზრის განსხვავებული დამოკიდებულებისა, რომელიც გამოისახებოდა WTO-ში შესვლასთან დაკავშირებით საერთო მიღებულ დასკვნაში – რომ ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება, პოზიტიური შედეგები მივიღეთ 14 წლის შემდეგ.

მეოთხე თავი ეხება საქართველოს საგარეო ვაჭრობის პრობლემებსა და პერსექტივებს. დეტალურადაა განხილული და შეფასებული საქართველოს მიერ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში თანამშრომლობა და აღებულ ვალდებულებათა შესრულება, საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური რეფორმების განხორციელება.

გააანალიზებულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა და გეოგრაფიული არეალი WTO-ში გაწევრიანების შედეგად ვაჭრობის ლიბერალიზებამდე და ლიბერალიზების შემდეგ. კერძოდ, საქართველოს ვაჭრობის ლიბერალიზების წლად ავიღეთ 2005-2006 წლები და გავაანალიზეთ საქართველოს მშპ-ში ექსპორტის, იმპორტისა და სავაჭრო ბრუნვის წილის ცვლილება, ასევე აგრობიზნესის პროდუქტებით ვაჭრობის წილი მის მთლიან გამოშვებაში. შეფასებულია საქართველოს საგარეო ვაჭრობის ტენდენციები დარგებისა და ბაზრების მიხედვით 2000-2015 წლებში, გამოკვეთილია პრობლემები და მოცემულია მათი გადაჭრის მიმართულებები.

საქართველოს საექსპორტო საქონლის სტრუქტურისა და დანიშნულების ბაზრების ცვლილების გასაანალიზებლად, ასევე ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში ჩართვის ხარისხისა და როლის შესაფასებლად ჩავატარეთ კვლევა საქართველოს

შიგადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის ე.წ. გრუბელ-ლლოიდის (GL) ინდექსისა (Grubel H.G, Lloyd P.J 1979) და მისი ექსპორტის მსგავსების ე.წ. ფინგერ-კრეინინის (FK) (Finger J. M, M. E. Kreinin 1979) ინდექსის დასადგენად SITC კლასიფიკატორის მიხედვით ერთნიშნა და სამნიშნა დონეზე, 30 ყველაზე უფრო მსხვილ საექსპორტო საქონლის მიხედვით ყველა პარტნიორ ქვეყანასთან. ბაზად აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და UN comtrade-ს საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემები.

კვლევის შედეგად, შიგადარგობრივი ვაჭრობის ყველაზე მაღალი ინდექსი გამოვლინდა ბელარუსთან (99%), რომელიც საქართველოს სავაჭრო პარტნიორებში ბრუნვის მიხედვით რიგით 37-ე ადგილზეა, საუდის არაბეთთან (90%) - მე-60 ადგილი, ლიტვასთან (84%) - 29-ე ადგილი და მოლდოვასთან (78%) - 49 ადგილი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში ამ ქვეყნებთან GL განუხრელად იზრდებოდა. ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ასევე, საქართველოს GL ირანთან და პოლონეთთან, რომლებიც საქართველოს უმსხვილეს პარტნიორებს შორის შესაბამისად მე-18 და მე-20 ადგილზეა.

რაც შეეხება, პირველ ათეულს სავაჭრო პარტნიორებს შორის GL ინდექსი განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით დაბალია, ვიდრე განვითარებად მეზობელ ქვეყნებთან, თუმცა ზრდის ტენდენცია შეინიშნება გერმანიასა და აშშ-სთან 2005 წელთან შედარებით. ყველზე მაღალი GL დაფიქსირდა მეზობელ სომხეთთან (98%); ბულგარეთთან (88%). საკმაოდ მაღალი შიგადარგობრივი ვაჭრობის მაჩვენებელია ასევე აზერბაიჯანთან (61%); თურქეთთან შეინიშნება შიგადარგობრივი ვაჭრობის მკვეთრი კლება 2005 წლიდან დღემდე (60%-დან 25%-მდე). რუსეთთან GL მჭიდრო კორელაციაშია სავაჭრო ნაკადების წარმოქმნასთან. 2010 წელთან შედარებით 2015 წელს გაზრდილი GL 21%-დან 40%-მდე მიუთითებს სავაჭრო ნაკადების სწრაფ ზრდაზე და რუსეთის ბაზარზე დაბრუნებაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს GL ინდექსის დონე ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებთან მერყეობს საშუალოდ 40%-ს ფარგლებში. კეთილდღეობის მოსალოდნელი ამაღლება ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე

დამოკიდებული იქნება: ეროვნული მარეგულირებელი პოლიტიკის ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკასთან წარმატებულ დაახლოვებაზე, რომლის განხორციელებაც უკვე დაწყებულია; ვაჭრობის შემზღუდავი ბარიერების შემცირებაზე; ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშემწყობ ნორმატიულ და ინსტიტუციონალურ ჩარჩოებზე, რასაც უნდა მოჰყვეს საინვესტიციო სფეროში რისკების შემცირება და ახალი საწარმოო სტრუქტურების განვითარება. ამავე დროს, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს მაღალი ტექნოლოგიების მწარმოებელ ფირმებთან დაახლოვება და მიწოდების ქსელის შექმნა. ასე, რომ ღრმა ეკონომიკური რეფორმების გაგრძელება, ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორცილება საქართველოსთვის კვლავ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს.

კვლევის საფუძველზე დადგენილია, რომ საქართველოსა და მის მთავარ სავაჭრო პარტნიორებთან ექსპორტის მსგავსების განმსაზღვრელი FK ინდექსი საკმაოდ დაბალია. ყველაზე მაღალი მსგავსების კოეფიციენტი ამ ქვეყნებს შორის ფიქსირდება აშშ-სთან (45%), რაც თითქმის არ შეცვლილა 2010 წლის შემდგომ, ასევე სომხეთთან (43.4%) - რომელიც შემცირებულია 2010 წლის დონესთან (48.4%) შედარებით, და თურქეთთან (43.0%) - რომელიც ოდნავ შემცირდა 2010 წლის დონესთან შედარებით (43.7%). დაბალი, თუმცა დადებითი ტენდენციით ხასიათდება გერმანიასთან FK ინდექსი, რომელმაც განსახილველ პერიოდში მოიმატა 39.2%-დან 42.5%-მდე. ზოგადად, ყველაზე მაღალი FK ინდექსი დაფიქსირდა ესპანეთთან, რომელიც საქართველოს სავაჭრო პარტნიორებში მე-17 ადგილზეა სავაჭრო ბრუნვის მიხედვით. შემდეგ მოდის: ლიტვა (48.9%), პოლონეთი (48.4%) და რუმინეთი (46.5%). ზოგადად, განვითარებულ ქვეყნებთან, განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებთან ინდექსის საშუალო მაჩვენებელი მერყეობს 41%-ის ფარგლებში და ძირითადად ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც მიუთითებს საქართველოს საექსპორტო ნაკადების უფრო ეფექტიანი მიწოდებისა და სავაჭრო ლიბერალიზაციის გაღრმავებაზე. მცირედ შემცირდა ისედაც დაბალი FK ინდექსი ლიტვასთან, კანადასთან, ნიდერლანდებთან, ესტონეთთან და შვეიცარიასთან. ამ ქვეყნებთან იგი მერყეობს დაახლოებით 33%-ის ფარგლებში. საკმაოდ დაბალია და, უმეტეს შემთხვევაში, შემცირებით ხასიათდება ექსპორტის

მსგავსება როგორც მზარდი, ისე სწრაფად განვითარებადი ბაზრების მქონე ქვეყნებთან. მცირე ზრდა 2010წ-დან 2014 წლამდე დაფიქსირდა მხოლოდ უკრაინის, რუსეთის, ჩინეთისა და სამხრეთ კორეის FK ინდექსში. რაც შეეხება სხვა განვითარებად ქვეყნებს, საქართველოს FK ინდექსი მათთან საკმაოდ დაბალია, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ზრდადია და საშუალოდ 30%-ს შეადგენს. სხვა შემთხვევაში მცირდება და მერყეობს 18-30%-ს შორის. შესაბამისად, საქართველოს საექსპორტო სტრუქტურა არც ისე მსგავსია მისი უმეტესი სავაჭრო პარტნიორების საექსპორტო სტრუქტურების.

ევროკავშირი ძალზე მნიშვნელოვანი ბაზარია საქართველოს ექსპორტისთვის და მისი მნიშვნელობა უფრო იზრდება DCFTA-ს ფარგლებში. ასოცირების ხელშეკრულება და ევროკავშირის ბაზარზე შეღწევა ქართველ მწარმოებლებს ეკონომიკის განვითარების ფართო მასშტაბის ათვისების შესაძლებლობას მისცემს.

დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნით ნაწილში შემოთავაზებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სავაჭრო ნაკადების სწორი მიმართულებით ზრდასა და საბოლოოდ ეკონომიკურ განვითარებას. კერძოდ:

- შიგადარგობრივი საერთაშორისო კავშირების ზრდამ დაგვანახა ქვეყნის საერთაშორისო სპეციალიზაციის პრიორიტეტებში მისი გათვალისწინების აუცილებლობა. ეს კი, ძირითადად, განპირობებულია საერთაშორისო ვაჭრობისა და კონკურენციის ფორმებზე ტრანსნაციონალიზაციის გავლენით. რამაც, თავის მხრივ იმპულსი მისცა ყველანაირი ფორმის საკომპენსაციო გარიგებების განვითარებას. საკომპენსაციო გარიგებები დღეს გვევლინება, როგორც გამოსავალი პერიოდულად გამწვავებული კრიზისული სიტუაციებიდან;
- ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სისტემაში სავაჭრო რეჟიმების ანალიზი იძლევა თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობაში მრავალმხრივ, რეგიონულ და ორმხრივ დონეებზე მრავალფეროვანი პროცესების განსაზღვრის საშუალებას. დღეს, პროტექციონიზმი და ფრიტრიდერობა ეკონომიკური პოლიტიკის არა ერთმანეთის საპირისპირო პრინციპებია, არამედ ქვეყნებს შორის ურთიერთობების რეგულირების

ორი ერთმანეთთან დაკავშირებული საშუალებაა. საერთაშორისო ვაჭრობის პოლიტიკის სახეობები არ არიან სტატიკურნი, ისინი განიცდიან ევოლუციურ განვითარებას მსოფლიო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად - ახალ გლობალურ დონეზე ხდება ნეოპროტექციონიზმის რეალიზება;

- საქართველოს ექსპორტი ნაკლებად დივერსიფიცირებულია ვიდრე ამას ქვეყნის განვითარების დონე მოითხოვს. საქართველოში წარმოებულ საქონელზე ირიცხება დაბალი დამატებული ღირებულება;

- ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარება მნიშვნელოვანია საექსპორტო ნაკადების ზრდისა და ბაზრების დივერსიფიცირებისთვის, ასევე ქვეყნის საგარეო შოკების შესამცირებლად. მნიშვნელოვანია თავისუფალი ინდუსტრიული ზონების (თიზ) განვითარება რეგიონებისთვის, რის ჩანასახებიც უკვე არსებობს;

- საგარეო ვაჭრობის მაქსიმალური დივერსიფიცირება წარმოადგენს სპეციალიზაციის საპირწონეს, რომელიც უპირატესად უნდა განიხილებოდეს, რადგან იგი საგარეო ბაზრებზე მიმდინარე შოკების დაზღვევის საფუძველია. საგარეო ვაჭრობის სპეციალიაზაციაზე აქცენტი უნდა შეიცვალოს საგარეო სავაჭრო დივერსიფიკაციაზე აქცენტით, განსაკუთრებით ევროკავშირის ხელშეკრულების მოთხოვნათა გათვლისწინების შედეგად.

- კვლევის შედეგად, შიგადარგობრივი ვაჭრობის ყველაზე მაღალი ინდექსი და წლების მანძილზე ზრდის ტენდენცია გამოვლინდა ქვეყნებთან, რომლებიც არ არიან საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები (კერძოდ: ბელარუსთან, არაბეთთან, ლიტვასთან, მოლდოვასთან). ამ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოვებას ექნება დადებითი შედეგები, საჭიროა ამ მიმართულებით რეგიონული ინტეგრაციების შესაძლებლობათა გამოყენება.

- შიგადრგობრივი ვაჭრობის ინდექსის კვლევის საფუძველზე დარგობრივი სტრუქტურის მიხედვით გამოვლინდა საგარეო ვაჭრობის კონკრეტული სექტორების გაფართოვების შესაძლებლობები, კერძოდ, სასაქონლო ჯგუფები სამნიშვნა დონეზე (SITC): ხილი და თხილი; უალკოჰოლო სასმელები; სპილენძის მადნები და კონცენტრატები; პარფიუმერული, კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებები; ქალის

ტანსაცმლის ნაწილები, ტექსტილის ქსოვილები, ხელით ან მანქანით ნაქსოვი ტრიკოტაჟი და სხვა.

- საქართველოს GL ინდექსის დონე ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებთან მერყეობს საშუალოდ 40%-ს ფარგლებში, კეთილდღეობის მოსალოდნელი ამაღლება ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამოკიდებული იქნება საკუთარი მარეგულირებელი პოლიტიკის ევროკავშირის შესაბამის პოლიტიკასთან წარმატებულ დაახლოვებაზე, რომლის განხორციელებაც უკვე დაწყებულია;
- კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს ექსპორტის სტრუქტურა არც ისე მსგავსია მისი სავაჭრო პატნიორების საექსპორტო სტრუქტურის, თუმცა ყველაზე მაღალი ექსპორტის მსგავსების განმსაზღვრელი FK ინდექსი ფიქსირდება ესპანეთთან, ლიტვასთან, პოლონეთთან, რუმინეთთან. აქედან გამომდინარე, ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის გზაზე ჩვენ გვექმნება ექსპორტის მეტნაკლებად მსგავსი სტრუქტურის მქონე განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებთან კოოპერირების შესაძლებლობა, კერძოდ: საშუალო და მცირე მოცულობის ტნკ-ან კოოპერირების საშუალება. მართალია, ექსპორტის მსგავსი სტრუტურის მქონე ქვეყნები ჩვენი კონკურენტებიცაა მსოფლიო ბაზარზე, თუმცა ეროვნული საექსპორტო ნაკადების მუცულობა საშუალებას გვაძლევს ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტი ავიცილოთ თავიდან. თუმცა, გვაქვს კომპლიმენტარული საქონლის და ტექნოლოგიების წარმოების კოოპერირების საფუძველი;
- საერთაშორისო ნაკადების განვითარება სასურველია წინასწარ განხორციელებული გაანგარიშებებით დადგენილი ტენდენციების გათვალისწინებით მიმდინარეობდეს, კერძოდ, შიგადარგობრივი ვაჭრობის მაღალი ხარისხის მქონე ისეთი საქონლით, როგორიცაა სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ტექსტილი და მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია, ფარმაცევტული საქონელი და სხვა. ეს დასტურდება იმით, რომ შიგადარგობრივი ვაჭრობის ინდექსი და ექსპორტის მსგავსების ინდექსიც მეტია იმ ქვეყნებთან, რომლებიც არ არიან ძირითადი სავაჭრო პარტნიორები. ამასთან, არ შეინიშნება თანაბარზომიერი ცვლილება ამ ორ ინდექსს შორის. ხშირად მათი

მოულოდნელი ზრდა ან შემცირება გამოწვეულია ზოგადად სავაჭრო ნაკადების მოულოდნელი ცვლილებით უმცირესიდან უდიდეს ზომებამდე, რაც გამოწვეულია შემთხვევითი, სტოხასტური სავაჭრო ნაკადებითა და სავაჭრო კავშირებით ქვეყნებს შორის (ზოგადად სუსტი სავაჭრო კავშირებით, ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურების არასაკმარისი დივერსიფიცირებით, რომელიც ეკონომიკური განვითარების დაბალი დონითაა განპირობებული);

- შიგადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის ფორმებისა და მიმართულების კვლევის სიმწვავე განსაკუთრებით აქტუალურია მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებისთვის, როგორიცაა საქართველო. სავაჭრო ნაკადების ახალი ფორმებისა და ტექნოლოგიების შესაძლებლობების კვლევა უნდა გახდეს ორიენტირი ქვეყნის შემგომი ეკონომიკური განვითარებისთვის.

გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები

1. მიქაბერიძე თ. (2016), საქართველოს შიგადარგობრივი საერთაშორისო ვაჭრობის ტენდენციები. *საქართველოს ეკონომიკა,* აპრ.(27). e-ISSN 1512-2980.

2. მიქაბერიძე თ. (2016), საერთაშორისო ვაჭრობის ტექნოლოგიების როლი მცირე ღია ეკონომიკებისთვის, *ეკონომიკა და ბიზნესი. 3; ტ.IX ISSN 1987-5789;*

3. Mikaberidze T. (2016), Neo Protectionist Activities in International Trade. *Strategica International Academic Conference.* Bucharest, Romania. Proceedings: Brătianu, C., Zbuchea, A., Pînzaru, F., Vătămănescu, E.-M. and Leon, R.D. (eds.). *Strategic, opportunities and risks in the contemporary business environment*; Bucharest: Tritonic (ISSN: 2392-702X; ISBN (E-book): 978-606-749-181-4);

4. Mikaberidze T. (2015), New Forms and Trends of International Trade Amid the Global Crisis. *Strategica International Academic Conference.* Bucharest, Romania. Proceedings: Brătianu, C., Zbuchea, A., Pînzaru, F., Vătămănescu, E.-M. and Leon, R.D. (eds.). *Strategica. Local versus Global*. Bucharest: Tritonic (ISBN 978-606-749-054-1, ISSN 2392-702X), ISI Citation - Thomson Reuters Proceedings.

http://strategica-conference.ro/previous-editions/2015-edition/

5. Mikaberidze T. (2015), The Role of advanced International Trade Technologies for Small Open Economics. *EU SPRI Early Career Conference "Crossing boundaries in scientific knowledge creation and transmission: trends, challenges and policy implications"*. (2015) Rome. Italy.

http://www.euspri-forum.eu/archives/ecc/ecc_october_2015/nieuw-categorien-1/

6. Mikaberidze T. (2009),Trade and Development. *Workshop on WTO Matters for Academics from Central and Eastern Europe, Central Asia and the Caucasus (CEECAC)*. WTO Headquarters. Geneva. Switzerland.

7. მიქაბერიძე თ., სიხარულიძე დ. (2010), პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ტურიზმის სექტორის განვითარებაზე. *საერთაშორისო პრაქტიკული კონფერენცია. ბათუმი-ტრაბზონი.*

8. მიქაბერიძე თ., სიხარულიძე დ. (2009), მცირე და საშუალო საწარმოთა ინტეგრაცია გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში. *სამეცნიერი-პრაქტიკული კონფერენცია.* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, საქართველო.